ნონა — VI ადგილზე

ბევერვეიკი, 1 თებერვალი. აქ დამთავრდა ოსტატ ვაჟთა საშაბრაკო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდა ნ. გაფრინდაშვილი. მსოფლიოს ჩემპიონმა 6 ქულა დააგროვა 11-დან და VI ადგილზე გავიდა. 8,5 ქულით გაიმარჯვა რუმინელმა თ. გიცესკუმ. ქალთა ტურნირში წარმატებით გამოვიდა გიცესკუს თანამემამულე — ა. ნიკოლაუ.

● **ტალინი,** 31 იანვარი. დინამოელ მოცურავეთა აქ გამართულ პირველობაზე საკავშირო რეკორდი დაამყარა მოსკოველმა ზ. ბელოვეცკაიამ: 50-მეტრიან აუზში 200 მეტრი ბატერფლაით მან გაცურა 2 წუთსა და 41,6 წამში. ვ. იაროლევას (ლვოვი) წინანდელი რეკორდი 0,6 წამით გაუმჯობესდა.

● **ოკლენდი,** 31 იანვარი. მსოფლიოს რეკორდსმენს თ. პრესს ახალი ზელანდიის სტადიონებზე მეტოქე არ გამოუჩნდა. ცუდ ამინდში აქ შედგა საბჭოთა სპორტსმენების ბოლო გამოსვლა. ბირთვის კვრაში გაიმარჯვა თ. პრესმა — 16,73 მ. მიხი და — ირინა მასპინძელ ბ. მეტიუსს ორჯერ შეხვდა და ორივეჯერ დაამარცხა. ჯერ 80 მეტრზე თარჯრბენში (11,1), შემდეგ კი 100 იარდზე რბენაში (10,9). 3 მილზე რბენაში გაიმარჯვა ტოკიოს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა, ახალზელანდიელმა ჯ. დევისმა — 14.35,2, II ადგილზეა საბჭოთა სპორტსმენი ვ. კუდინსკი — 14.40,0, ხოლო III — დევისის თანამემამულე ბ. ბეილი — 14.42,0.

● **ივანოვო,** 31 იანვარი. აქ დაიწყო ფრენბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატი. პირველმა შეხვედრებმა ასეთი შედეგები გამოიღო: „სპარტაკი“ (გროზნო) 3:1, „სპარტაკი“ (ალმა-ათა) 3:2, სკა (როსტოვი) — „ბურევესტნიკი“ (ოდესა) 3:0.

● **ტოკიო,** 31 იანვარი. იაპონიის სამბოს ასოციაციის გადაწყვეტილებით აქ ჩატარდა პირველი ეროვნული ჩემპიონატი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ᲚᲔᲚᲝ

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ბაქოს 22-ე ჯილი.

№ 23 (3000) ● ოთხშაბათი, 2 თებერვალი, 1966 წ. ● ფასი 3 კაპ.



ბაკურიანში თოვლი მოვიდა! ეს ცოტა უცნაურად ეღერს ამ შუა ზამთარში, მაგრამ რას იზამ: მხოლოდ რამდენიმე დღის წინათ მოთოვა ბაკურიანში ისე, როგორც ეს ამ შესანიშნავ ზამთრო ადგარაკს ეკადრება.

თოვლმა თეთრი საბურველი გადაფარა კოხტას ფერდობებს, იავორას ველს, ბაკურიანის სხვა წერმატაც მიდამოებს.

სურათზე: დათოვლილი ბაკურიანის ერთ-ერთი ხედი.

ფოტო ფ. კრიმსკისა.

სპორტული თებერვალი

სპორტული მოვლენებით მდიდარი იქნება თებერვალი. ზამთრის ბოლო თვეს საბჭოთა სპორტსმენები 50 საერთაშორისო შეჯიბრებაში გამოვლენ. მათ შორის უმნიშვნელოვანესი იქნება მსოფლიოს პირველობა მოცივურე ქალთა შორის (12-13 თებერვალი, ნორვეგია), და 4 დღის შემდეგ ამ ქვეყნის თოვლის ტრასებზე მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლებისთვის უძლიერეს მოთხილამურეთა ბრძოლა. ისინი ერთმანეთს შეეჯიბრებიან სათხილამურო რბოლებში, ტრამპლინიდან ხტომასა და ორკეიდში.

ასეთივე დიდი მასშტაბის შეჯიბრება ჩატარდება ნორვეგიის მეზობლად — შვეციაში: 19-20 თებერვალს გეტებორგში გაიმართება მოცივურე ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი.

ჩვენმა „ოქროს წყვილმა“ — ფიგურისტებმა ლ. ბელოუსოვამ და ო. პროტოპოპოვმა უკვე დაიწყეს ასპარეზობა ბრატისლავაში ევროპის ჩემპიონატის ტიტულისთვის. შემდეგ ისინი გაემგზავრებიან შვეიცარიის მაღალმთიან ავარაკ დავოსში, სადაც 22-27 თებერვალს გაიმართება ასპარეზობა მსოფლიოს ჩემპიონობაზე. ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი ვ. მელანინი სათავეში ჩაუდგება სსრ კავშირის ნაკრებს, რომელიც გაემგზავრება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ორჭიდელთა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად.

საბჭოთა სპორტსმენთა დიდი ჯგუფი გამოვა ტურინში ზამთრის უნივერსიადაზე. იტალიის ამ ქალაქში ჩასასვლელად ემზადება 30 ქვეყნის 500-ზე მეტი სპორტსმენი.

თებერვალში გათვალისწინებულია საბჭოთა სპორტსმენების სხვა შეხვედრებიც. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე ჩვენი კალათბურთელები შეხვდებიან საბერძნეთის გუნდს, ფრენბურთელები — გდრ-ის ნაკრებს, ხელბურთელები — ფინელებს.

მაგიდის ჩოგბურთის საბჭოთა ოსტატები წლევანდელ საერთაშორისო სეზონის მეორე შეჯიბრებას ჩაატარებენ გდრ-ში, სადაც 4 თებერვლიდან ჩატარდება რესპუბლიკის ღია ჩემპიონატი, ხოლო 15 თებერვლიდან თავად გაუწევენ მასპინძლობას მოსკოვში გამართულ საერთაშორისო ტურნირს.

20 თებერვლიდან მოსკოველები გახდებიან ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის მოწვენი. მათს წინაშე გამოვლენ მთელი რიგი ქვეყნების უძლიერესი ჩოგბურთელები. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ავრეთვე საქართველოს სპორტსმენებიც.

საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა გუნდი თებერვლის ბოლოს გაემგზავრება ბულგარეთში.

ახალ ზელანდიაში ტურნეს დამთავრების შემდეგ საბჭოთა მძლეოსნები ჩავლენ ამერიკის კონტინენტზე. ჩვენი მძლეოსნების ერთი ჯგუფი გამოვა შეერთებულ შტატებში, მეორე კი — კანადაში.

ჯ. ხაჩიძე.
(ჩვენი კორ.).

მოსკოვი.

19 „ა“ კლასში 19 — გუნდი

მოსკოვი. საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. სიხარულიძემ წუხელ დედაქალაქიდან გვაცნობა სასიხარულო ცნობა.

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა ფეხბურთში 1966 წლის საკავშირო ჩემპიონატის დეგულება და დაადგინა: „ა“ კლასის I ჯგუფში მონაწილეობა მიიღოს 19-მა გუნდმა.

ამ დადგენილების თანახმად ჟუთაისის „ტორპედო“ დარჩება უმაღლეს ლიგაში.



სურათზე: ბულგარელი ს. ბიმბალოვისა (მარჯვნივ) და ირანელი ა. მომენის ჰიდილის ერთ-ერთი მომენტი. ფოტო მ. ზარგარიანისა.

(მოჭიდავეთა გუშინწინდელი შეჯიბრების ანგარიში იხ. მე-3 გვ.).

გუშინ...

გამარჯვებულნი

თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჰიდაობაში. პირველი ადგილები მოიპოვეს: უმჩატეს წონაში უ. პურასტოლიმ (ირანი), მჩატეში — გ. გოგიჩაიშვილმა (სსრ კავშირი), ქვემსუბუქში — ს. ქარსაულიძემ (სსრ კავშირი), მსუბუქში — ნ. სოხაშვილმა (სსრ კავშირი), ქვესაშუალოში — ი. შაბმურადოვმა (სსრ კავშირი), საშუალოში — ა. ცხოვრებოვმა (სსრ კავშირი), ქვემძიმეში — კ. ლიივამ (სსრ კავშირი), მძიმეში — ვ. კოსტოვმა (ბულგარეთი).

ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲬᲧᲚᲝᲑᲐᲨᲘ

◆ **ლუგანსკი,** 1 თებერვალი. სსრ კავშირის ჩემპიონატზე ქალთა შორის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა ანგარიშით 45:36 დაამარცხა საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონი — რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდი.

◆ **პრაღა,** 1 თებერვალი. ევროპის კონტინენტის 15 ქვეყნის უძლიერესი მაგიდის ჩოგბურთელები გამოდიან ჩეხოსლოვაკიის ღია ჩემპიონატში. გუნდურ პირველობაზე სუსტად ითამაშეს ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა. მეოთხედფინალში ქალთა გუნდი დამარცხდა ჩეხოსლოვაკიასთან — 2:3. ვაჟთა გუნდი იუგოსლავიის ჩოგბურთელებთან წინ იყო ანგარიშით 2:0, მაგრამ ვერ შეძლო უპირატესობის შენარჩუნება და დამარცხდა 2:3.

◆ **ბონი,** 1 თებერვალი. ოლიმპიურმა და მსოფლიო ჩემპიონებმა მსოფლიოსა და კონტინენტების რეკორდსმენებმა მიიღეს მონაწილეობა მოცურავეთა ფესტივალში, რომელიც ქ. ბრემენში გაიმართა. გაუმჯობესებულ იქნა 34 ეროვნული რეკორდი, რომელთაგან აღსანიშნავია არგენტინელ ლუის ნიკოლაუს შედეგი ბატერფლაით 100 მეტრზე ცურვაში — 57,4, მის მიერ ნაჩვენები დრო თავისუფალი სტილით 100-მეტრიან დისტანციაზე — 53,2, ფრანგი ჟ. ჯარონის შედეგი (2.31,5) ზურგზე 200 მეტრზე ცურვაში და სხვ.

არმიელ სპორტსმენთა საწყლოსნო ბაცალიები

სპორტი ომის სამსახურში

... მეტარტის გასროლა და არმიულ ტანსაცმელში გამოწყობილი სპორტსმენი, რომელსაც ზურგზე შაშხანა აქვს გადაკიდებული, წყალში გადაეშვა. ასე უჩვეულოდ მორთულმა გასცურა 50 მეტრი, შეესწო აუზის კედელს და ახლა სტარტი მისმა ამხანაგმა აიღო. კიდევ 50 მეტრი და დისტანციაზე მესამე მოცურავეა. შემდეგ მეოთხე და ასე — გუნდის ყველა ათივე წევრი.

10×50 მ გასამხედროებული ესტაფეტა პროგრამის ნაწილი იყო გაზეთ „კრასნაია ზვეზდას“ პრიზზე შეჯიბრებაში, რომელიც გასულ კვირას მოსკოვის ცსკა-ს აუზში დამთავრდა. სპორტის საწყლოსნო სახეობებში გამართულ შეჯიბრებაში მონაწილეობდა სახმელეთო ჯარების, სამხედრო-საჰაერო ძალთა, საჰაერო თავდაცვის ჯარების, რაკეტული ჯარებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დაახლოებით 150 სპორტსმენი.

ასპარეზობა გახსნეს ტრამპლინიდან წყალში მხტომელებმა. ქალთა შორის უძლიერესი იყო სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონი, მოსკოველი ვ. ანხინა (სამხედრო-საზღვაო ფლოტი) — 139,09 ქულა. ეს შედეგი სეზონის დასაწყისისთვის საკმაოდ მაღალ შეფასებას იმსახურებს. ვაჟებში ყველას აჯობა მისმა თანაქალაქელმა ი. მელნიკოვმა (სახმელეთო ჯარები) — 156,79 ქულა. კოშკიდან ხტომაში გაიმარჯვეს: ლენინგრადელმა გ. ანტონოვამ (103,85) და სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონმა, უფროსმა ლეიტენანტმა რ. ბრენერმა (მოსკოვი) — 158,80.

ცნობილი სპორტსმენების გვერდით ცურავდნენ დებიუტანტებიც. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია 200 მეტრზე ბრასის სტილით ასპარეზობამ. როგორც მოსალოდნელი იყო, ქალებში გაიმარჯვა ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონმა გ. პროზუმენწჩიკოვამ (სამხედრო-საზღვაო ფლოტი) — 2.52,3. მასთან ერთად სტარტი აიღო ვ. პტუშკინამ (სამხედრო-საჰაერო ძალები), რომელმაც 2.57,3 აჩვენა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა. ვაჟთა შორის ეს დისტანცია მოიგო ვოლგოგრადელმა ვ. სემიდეტნოვმა (სახმელეთო ჯარები) — 2.38,4. 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში პირველი იყო უმცროსი სერჟანტი ა. სკავრონსკი (სამხედრო-საჰაერო ძალები) — 2.20,6.

წყალქვეშელთა ასპარეზობაში თავი გამოიჩინა მერიგე ვ. ბურლაჩენკომ (საჰაერო თავდაცვის ჯარები). იგი უძლიერესი იყო ყვინთვასა და წყალქვეშა ცურვაში.

საერთო გუნდური პირველობა, ისევე როგორც შარშან, მოიპოვეს სამხედრო-საჰაერო ძალების სპორტსმენებმა.

გ. ხავაპურიძე.

საყმილოზო ხახტებნე

ᲛᲠᲝᲛᲝᲑᲔᲜ, ᲙᲐᲭᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲘᲬᲠᲗᲝᲑᲘᲐᲜ...

სოფელ რუხის გ. სხულუხიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე შ. ლოგუა) დიდი ყურადღება ექცევა ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას. ამიშან აქ მოეწყო ფეხბურთის მინდორი, ფრენბურთისა და კალათბურთის ახალი მოედნები, მძლეოსნური სექტორები, შეიძინეს სპორტინვენტარი. სასოფლო-სამეურნეო არტელში ჩამოყალიბებულია ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ძალოსნობის, მძლეოსნობის, ცხენოსნობის, ჭადრაკის და ხროლის სექციები, რომლებშიც 200-ზე მეტი კოლმეურნეა გაერთიანებული. მათს საქმიანობას უნარიანად ხელმძღვანელობს მოწინავე ინსტრუქტორი ა. ჭადარია. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ აქ მოამზადეს 3 პირველთანრიგოსანი.

აქაური სპორტსმენები წარმატებით გამოდიან რაიონულ შეჯიბრებებში. მაგალითად, 1965 წლის რაიონულ სპარტაკიადაში რუხელმა ფრენბურთელებმა და მძლეოსნებმა I ადგილები დაისაკუთრეს.

კოლმეურნე-ფიზკულტურელები აქტიურად ჩაებნენ სკკპ XXIII და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობათა აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ივალდებულეს წლეულს მოამზადონ I თანრიგის — 5, II თანრიგის — 10, III თანრიგის — 15 სპორტსმენი... ფიზკულტურის საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა რიცხვს აიყვანენ 20-მდე იმ ვარაუდით, რომ ყოველ 8-10 კაცზე მოდიოდეს ფიზკულტურის 1 ინსტრუქტორი. აქაურობის გადაწყვეტილებაა რეგულარულად ჩაატარონ სხვადასხვა შეჯიბრება მეზობელი სოფლების გუნდებთან. ამასთან, რუხელმა ახალგაზრდობამ მტკიცე პირობა დასდო საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის გახსნისთვის მთლიანად დაამთავროს ჩაის პლანტაციების საზამთრო სამუშაოები.

ასევე კარგადაა დაყენებული ფიზკულტურული საქმიანობა ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ა. გაბელია, ფიზკულტურის ინსტრუქტორი შ. მოსია). აქ ამ ბოლო დროს შეიწყო სხვადასხვა სპორტული ბაზა და მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა 45 პროცენტი სპორტულ სექციებშია გაერთიანებული. აქაური ნაკრები გუნდები წარმატებით გამოდიან როგორც შიდასამეურნეო, ისე რაიონულ ღონისძიებებში, ხოლო ზოგიერთმა სპორტსმენმა — ო. ჯიქიამ (ძალოსნობაში) და მ. საღლიამ (ცხენოსნობაში) სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულეს. წლეულს ისინი შეიყვანეს რესპუბლიკის ნაკრებში. მეურნეობის ფეხბურთელთა გუნდმა „კოლმეურნის“ რაისაბჭოს შარშანდელ რაიონულ ჩემპიონატში. 28 გუნდს აჯობა და პირველობა მოიპოვა.

წლეულს აქ პირველად ჩაეყარა საფუძველი საწარმოო ტანვარჯიშს.

საქართველოს კპ ზუგდიდის რაიკომის ბიურომ ახლახან მიიღო დადგენილება „სოფლად ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის შემდგომი განვითარების, კომპლექსური ბაზებისა და ნაგებობების შექმნის შესახებ“. ამ დადგენილების შესაბამისად ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ივალდებულეს წლეულს გააშენონ ღია საცურაო აუზი, მოაწყონ სპორტული მოედნები, მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა 50 პროცენტი ჩააბან ფიზკულტურულ სექციებში, მოამზადონ 1 სპორტის ოსტატი, 15 სხვადასხვა თანრიგოსანი, იმათ და მშთ 20 ნიშნოსანი და სხვ.

მეურნეობის ახალგაზრდებმა, რომლებიც წინასაყრილობო ვახტებზე დგანან, ივალდებულეს დროულად და მაღალხარისხოვნად შეასრულონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები — ჩაის პლანტაციების მსუბუქი გადაბარვა, წყალსაწრეტი არხების ამოწმენდა, სამექანიზაციოდ ფარათობების მომზადება და სხვა მრავალი.

ბ. ალშიბაია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდის რაიონი.

ᲬᲝᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲐ

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: **სამბოში** — თ. ხოსიტაშვილს (გარდაბანი, „დინამო“), გ. გამილაღდიშვილს (თბილისი, „დინამო“); **თავისუფალ ჭიდაობაში** — რ. კამალიანს, ვ. სალნიკოვს (ორივენი — თბილისი, „დინამო“); **კლასიკურ ჭიდაობაში** — ვ. ბუჩუკურს (დუშეთი, „კოლმეურნე“), თ. სირბილაძეს (თბილისი, „განთიადი“), დ. ჭინჭლაძეს (ბათუმი, „სპარტაკი“), ა. მირზოიანს (თბილისი, „დინამო“); **ჩოგბურთში** — ვ. გოგლიძეს (თბილისი, „ბურევესტნიკი“); **ტანვარჯიშში** — ა. ბოროვიკოვს (ფოთი, „განთიადი“), ს. სხირტლაძეს (თბილისი, „ბურევესტნიკი“); **საცხენოსნო სპორტში** — მ. საღიას, შ. გულორდავას, მ. წურწუმიას (სამივენი — ზუგდიდი, „კოლმეურნე“), ა. მოხინს (გულრიფში, „კოლმეურნე“), დ. მალანიას (ფოთი, „კოლმეურნე“).

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘ

ძალოსნობა

1966 წლის 1 თებერვლისათვის

წონითი კატეგორია	შედეგი (კგ.)	რეკორდსმენი	წელი
ᲬᲐᲭᲘᲛᲕᲐ			
მჩატე	119,5	ფ. ბაეც კრუზი (პუერტო-რიკო)	1964
ქვემსუბუქი	128	ი. ფიოლდი (უნგრეთი)	1965
მსუბუქი	143,5	ე. კაცურა (სსრ კავშირი)	1965
ქვესაშუალო	149	ვ. კოზლოვი (სსრ კავშირი)	1965
საშუალო	160	დ. ვერეში (უნგრეთი)	1963
ქვემძიმე	168	ვ. გოლუბნოვი (სსრ კავშირი)	1965
მძიმე	198,5	ვ. ანდრეევი (სსრ კავშირი)	1965
ᲐᲮᲐᲪᲘ			
მჩატე	112,5	ხ. ისინოსეკი (იაპონია)	1965
ქვემსუბუქი	123,5	ი. მიაკე (იაპონია)	1964
მსუბუქი	134	ვ. ბაშანოვსკი (პოლონეთი)	1965
ქვესაშუალო	141,5	ვ. ოუტი (იაპონია)	1965
საშუალო	148	ვ. ოზიმეკი (პოლონეთი)	1965
ქვემძიმე	150	ა. კალინიჩენკო (სსრ კავშირი)	1965
მძიმე	173	ლ. ჟაბოტინსკი (სსრ კავშირი)	1965
ᲙᲘᲕᲠᲐ			
მჩატე	141	ა. ვახონინი (სსრ კავშირი)	1965
ქვემსუბუქი	152,5	ი. ბერგერი (აშშ)	1964
მსუბუქი	168,5	ვ. კაკლუნოვი (სსრ კავშირი)	1965
ქვესაშუალო	178	ვ. კურენცოვი (სსრ კავშირი)	1965
საშუალო	187	დ. ვერეში (უნგრეთი)	1963
ქვემძიმე	190,5	ლ. მარტინი (დიდი ბრიტანეთი)	1965
მძიმე	217,5	ლ. ჟაბოტინსკი (სსრ კავშირი)	1965
ᲡᲐᲛᲭᲘᲓᲘ			
მჩატე	362,5 (120+105+137,5)	ი. ფიოლდი (უნგრეთი)	1965
ქვემსუბუქი	397,5 (122,5+122,5+152,5)	ი. მიაკე (იაპონია)	1964
მსუბუქი	432,5 (132,5+135+165)	ვ. ბაშანოვსკი (პოლონეთი)	1964
ქვესაშუალო	452,5 (142,5+140+170)	ვ. ოუტი (იაპონია)	1965
საშუალო	477,5 (155+137,5+185)	დ. ვერეში (უნგრეთი)	1963
ქვემძიმე	487,5 (165+140+182,5)	ვ. ლიახი (სსრ კავშირი)	1964
მძიმე	580 (195+170+215)	ი. ვლასოვი (სსრ კავშირი)	1964

ᲛᲘᲖᲐᲜᲨᲘ — ᲣᲤᲠᲝ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ!

თბილისში ამას წინათ გაიმართა სასტენდო სროლის რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმი. მოხსენებით გამოვიდა ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ. მარგალიტაძე. მან აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში, რომელიც ბოლო ორ წელიწადს მოიცავს, მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა საქართველოში სპორტის ამ სახეობის შემდგომი განვითარებისთვის. სასტენდო სროლაში ჩაება ბევრი ახალგაზრდა, ამაღლდა სპორტსმენთა ტექნიკური შედეგები და ა. შ. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ჩვენი მესტენდურეების წარმატებას პროფკავშირთა VIII საკავშირო სპარტაკიადასა და სსრ კავშირის შარშანდელ ჩემპიონატში. ადგილიდან მსროლელებმა სპარტაკიადაში გუნდური III ადგილი მოიპოვეს, ხოლო ზ. მაჩხანელმა — II. სსრ კავშირის პირველობაში ადგილიდან მსროლელთა გუნდმა (ზ. მაჩხანელი, კ. დარასელია, ი. საგანელიძე და ა. ოვსეპანი) კვლავ III ადგილი დაისაკუთრა. ქალთა შეჯიბრებაში ე. მელიქიშვილმა ვერცხლის მედალი მოიპოვა. სამწუხაროდ, კვლავ ცუდი შედეგები ჰქონდათ მრგვალ სტენდზე მსროლელებს.

მომხსენებელმა აღნიშნა აფხაზეთის, ქუთაისის, მახარაძის ორგანიზაციების, მწვრთნელების ზ. მაჩხანელის, ლ. სიმონიანის, გ. ნოდიას კარგი მუშაობა, რამაც განაპირობა ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა შარშანდელი მაჩვენებლების ზრდა. მუშაობა გაუმჯობესეს „სპარტაკის“, „განთიადისა“ და „კოლმეურნის“ მესტენდურეებმა.

მიღწევებთან ერთად იყო სერიოზული ხარვეზებიც. საანგარიშო პერიოდში რესპუბლიკას შეემატა მხოლოდ 2 სასროლეთი (ზუგდიდსა და წალენჯიხაში). რესპუბლიკაში არსებული სტენდების აღჭურვილობა ვერ პასუხობს მაღალი კლასის მსროლელთა მოზადების მოთხოვნებს. ბევრი სპორტული ორგანიზაცია კვლავ უსისტემოდ მუშაობს ჭაბუკ და ახალგაზრდა მსროლელთა აღსაზრდელად. და რაც ყველაზე უფრო სავანგაშოა, ამ მხრივ არაფერს აკეთებენ ახალგაზრდობის სპორტსკოლები.

კამათში გამოსულებმა: გ. ნოდიამ (აფხაზეთი), ლ. ციციშვილმა (თბილისი), ბ. გომბრეევმა (ასკ), ლ. გუნიავამ (თბილისი) და საქართველოს მონადირეთა კავშირის თავმჯდომარემ ს. როსტიაშვილმა ილაპარაკეს ფედერაციის, მსჯთა პრეზიდიუმის მუშაობაში არსებულ ხარვეზებზე, რესპუბლიკური შეჯიბრებების უკმარობაზე, იმაზე, რომ სპორტსმენები ცუდად მარაგდებიან შაღალხარისხოვანი თოფებითა და ვაზნებით, რომ კეთილმოუწყობელია თბილისის „მონკავშირის“ სტენდი და სხვ.

პლენუმმა დასახა ღონისძიება სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის საქართველოს მესტენდურეების მზადების თაობაზე და აირჩია პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა. ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია დ. მარგალიტაძე.

ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ, ᲚᲝᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲙᲐᲑᲘᲡ ᲓᲔᲜᲘ...

ხარაგოულში სანთლით საძებარია კეთილმოწყობილი სპორტული ბაზები. როგორც კი ფიზკულტურის ენთუზიასტთა ინიციატივით აქ კარგი სტადიონი გაშენდა, ფეხბურთი უველაზე მასობრივ სახეობად იქცა. კეთილმოწყობილმა სარბიელმა ხანდაზმულებსაც გაუღვიძა თამაშის მადა და მწვანე მინდორზე ჭაბუკები გამოიწვიეს. „შვილებმა ხელი აღმართეს მამებზე და მათ კარში ნ ბურთი გაიტანეს, მამებმა კი 3 გაქვითეს“, — წერდა ამ მატჩზე „ფუტბოლი“ (1965 წ. № 30).

მაგრამ დაზამთრდა თუ არა, უველაფერი შეიცვალა. უპატრონოდ დარჩენილი სტადიონის ღობე რამდენიმე ადგილზე გაინგრა, ჭიშკარიც დაზიანდა და მინდორი პირუტყვთა სათარეშო გახდა (ზედა სურათი).

... ეს „კომპლექსური მოედანიც“ (ქვედა სურათი) შარშან, საზოგადოებრივი ძალებით მოეწყო. აქ „სპორტული ნათლობაც“ არ შემდგარა და აი, მასზე უკვე იერიში მიიტანეს. ჯერ იყო და მოედანზე მაღალი ძაბვის ქსელისათვის ბოძების ჩაყრა მოინდომეს, მერე ფოსტის შენობის ახაგებად მოიწონეს და მუშებს გადაათრევინეს. ახლა კი აქ სარემონტო კანტორის მანქანები დანავარდობენ და „საბურავებჭვეშ“ თელავენ სპორტსმენთა ნაოფლარს.

ნეტა, ვის დარჩება მოედანი საბოლოოდ? ერთი რამ ცხადია: სპორტის მოყვარულთა შრომა ჩხერიმელას გაატანეს...

თ. გაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ხარაგოული.





ᲒᲐᲜᲐ ᲔᲡ ᲒᲔᲙᲐᲓᲠᲔᲑᲐᲗ?

გუშინ „ლელო“ ჩოხატაურის რაიონის შრომელთა შეხანიშნავ საქმეზე იუწყებოდა: სოფლების შუაგანახლებისა და განაბლების კოლმეურნეობებმა მხარი აუბეს ვაზისუბნელ, შემოქმედელ და გარკვეთილელ თაოსნებს და იკისრეს არა მარტო არსებული სპორტული მოედნების კეთილმოწყობა, არამედ ახალი ბაზების შექმნაც.

მეორე დღეს სარედაქციო ფოსტას ერთ-ერთი წერილი მოპყვა მაღაკოჯის რაიონიდან. ეს წერილი ოდნავადაც არ გაგდა ჩოხატაურიდან მიღებულ ხასიხარულო ცნობას. აი, რას გვატყობინებენ სოფელ ზედიმის ახალგაზრდები — ს. თოდაძე, რობერტ, როლანდ და ვეიმ ჭრელაშვილები:

„ჩვენ უველაზე ძალიან გვიყვარს სპორტი, მაგრამ მარტო სიყვარულით ფონს ვერ გახვალ. ახლა არ გაგვაჩნია იმისი ადგილიც კი, სადაც შეიძლებოდეს ფრენბურთის თამაში. უწინ გვქონდა ფეხბურთის ჯატარა მინდორი, რომელიც ქვა-ღორღით იყო სავსე. ერთ შშვენიერ დღეს ახალგაზრდებმა იგი ქვებისგან გავწმინდეთ. გასუფთავებული მინდორი კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს თვალში მოუვიდათ და შათ არც აცივეს, არც აცხელეს — ნაოფლარ-ნაჭაფი გადაგვიხნეს...

იქნებ როგორმე დაგვეხმაროთ, რომ ადგილობრივმა ხელმძღვანელებმა ხათამაშო ადგილი გამოგვიყოონ. კიდევ ერთხელ გთხოვთ, დაგვეხმარეთ!“...

სოფელ ზედიმის კოლმეურნეობის მესვეურებო, განა ეს გეკადრებათ? ახლა, როცა რესპუბლიკაში ფართოდაა გაშლილი საქმიანობა ახალი სპორტული ბაზების შესაქმნელად, თქვენ ასეთ ხაქმეს ჩადიხართ! დაეხმარეთ ახალგაზრდებს, გამოუყავით ადგილი სპორტული მოედნებისთვის, დარაზმეთ ჭაბუკები და უხელმძღვანელეთ მათ სასპარეზოს მოწყობაში. განა თქვენ არ გსურთ ჩადგეთ მოწინავეთა რიგებში?

პირველი შეჯიბრების შუქ-ჩრდილებში

სპორტის ზაფხულის სახეობებში წლეულს გამართული ყველა მასშტაბის ასპარეზობა უძლიერესთა გამოვლენის გარდა მიზნად ისახავს სსრ კავშირის სალხთა IV სპარტაკიადისთვის ძალთა მოსინჯვას და იმ ხარვეზების დაძლევას, რომლებიც თავს წამოყოფენ ამ შეჯიბრებებში.

მძლეოსნობაში ერთი ასეთი პირველი ღონისძიება გახლდათ ახლახან დამთავრებული თბილისის ზამთრის პირველობა ფიზკულტურის კოლექტივებს შორის. „დინამოს“ სტადიონზე გამართულ ასპარეზობაში მონაწილეობა უნდა მიეღო დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების, საწარმო-დაწესებულებების, ტექნიკუმებისა და მათთან გათანაბრებული სპეციალური სასწავლებლების, არმიისა და „დინამოს“ ფიზკულტურული კოლექტივების სულ ცოტა 30 გუნდს.

საამისოდ კოლექტივები უნდა შეერჩიათ სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკურ და ცენტრალურ საბჭოებს, მაგრამ... სინამდვილეში ისინი გამოიყვანეს მანქანათმშენებლობის, პოლიტექნიკური, ინდუსტრიული და რკინიგზის ტექნიკუმებმა, 34-ე პროფტექნათლების სასწავლებელმა, სპორტკლუბებმა „სინათლემ“, „განთიადმა“ და „ელმავალმა“, „დინამოს“ მე-2 და მე-6 ფიზკულტურის კოლექტივებმა, არმიელთა სპორტულმა კლუბმა.

სპორტკლუბებმა „გამარჯვებამ“ და „ფეიქარმა“, ელმავალსაშენმა ქარხანამ, მაუდ-კამოლის კომბინატმა, ფეხსაცმლის საწარმო გაერთიანებამ „იხანმა“ და სხვა საწარმოებმა თავი არც კი შეიწუხეს.

რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებლებს — უნივერსიტეტსა და ფიზკულტურის ინსტიტუტს, მათ, ასე ვთქვათ, გასამართლებელი საბუთი აქვთ. მათი ნაკრები გუნდები ლენინგრადში იმყოფებიან „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ზამთრის პირველობაზე, მაგრამ სად იყო უძლიერესთა რეზერვი, ვინც უნდა შეცვალოს ნაკრების წევრები?! რატომ არ გამოვიდნენ შეჯიბრებაში სამედიცინო, პოლიტექნიკური, პედაგოგიური, უცხო ენების, ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტებისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების გუნდები? თუმცა, უნივერსიტეტმა და პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა გამოიყვანეს რამდენიმე მძლეოსანი (პირად ასპარეზობაში). ყოველივე ამის გამო I ჯგუფში, სადაც დებულებით გამარჯვებისთვის უნდა ებრძოლათ უმაღლეს სასწავლებლებს, გუნდური პირველობა არ გათამაშებულა (!).

თუ იმასაც აღვნიშნავთ, რომ დებულება კოლექტივებს მონაწილეთა რაოდენობას არ უზღუდავდა, განსაკუთრებული სინანულით უნდა ითქვას, რომ ასპარეზობა მრავალრიცხოვნებით ვერ დაიჯადნის. სამწუხაროდ, ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით, რომ თბილისის ფიზკულტურის კოლექტივების მძლეოსნები ტბილ ძილს განაგრძობენ და სულაც არ ფიქრობენ აქედანვე შექმნან მტკიცე საფუძველი სსრ კავშირის სალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში წარმატებით გამოსვლისთვის.



დასანანია, რომ საქართველოს ზოგიერთი ძლიერი მძლეოსანი მოერიდა სექტორებზე გამოსვლას, არ ისურვა თავისი მომზადების დონის შემოწმება, „წვრილფეხობასთან“ შეჯიბრება სათაკილოდ მიიჩნია და... მაყურებლები მოკალთდა. მათი მონაწილეობა კი, უდავოდ, უფრო საინტერესოს გახდიდა ტურნირს. რატომ არ გამოვიდნენ, მაგალითად ი. დიაჩკოვი და გ. გუდაშვილი? რით არიან მათზე ნაკლები ა. ბედუკაძე, ლ. ტუღუში, ვ. ჩხეიძე, ტ. ბახტაძე, თ. მდივანი და სხვები, რომლებიც ამ ტურნირშიც ამოწმებდნენ თავიანთ მზადყოფნას?

მძლეოსანთა პირველი სტარტიდან, ცხადია, მაღალ შედეგებს არავინ ელოდა, ვინაიდან თბილისში არ გვაქვს ხელოვნური მანეჟი, სადაც სპორტსმენებს ექნებათ რეგულარული წვრთნის საშუალება. მართლაც, სუსტი იყო ქალთა შედეგები. სიგრძეზე სტომაში უძლიერესი ვ. თეთრაძე (სპორტკლუბი „განთიადი“) 502 სანტიმეტრზე გადახტა, რაც მხოლოდ 2 სმ-ით აღემატება II თანრიგის საწყის ნორმატივს. პოლიტექნიკური ტექნიკუმის გუნდის წევრი ე. ჯულუხიძე კი... 342 სანტიმეტრზე გადახტა. მხსმა თანაგუნდელმა ნ. მაღლიანმა თავი „ისახელა“ ბირთვის კვრაში— 5,98 მ. შუბის ტყორცნის სექტორზე გამოვიდა ერთადერთი სპორტსმენი გ. ახვლედიანი (34-ე პროფტექნიკური სასწავლებელი) და ისიც შეჯიბრებიდან მოხსნეს, ვინაიდან მხოლოდ 12,45 მ აჩვენა. ლ. ბლუდოვამ (პოლიტექნიკური ტექნიკუმი) ძლივს გადააცილა ბადრო 18 მეტრს... ამგვარი სავალალო ფაქტების მოყვანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ესეც საკმარისია.

მეტად მცირერიცხოვანი იყო უროს მტყორცნელთა (4), ჭოკით მხტომელთა (6), შუბის მტყორცნელ ვაჟთა (3), სამხტომელთა (4), 50 მ თარჯიმრბენალთა (4), სიგრძეზე მხტომელ ქალთა (6) და სხვა სახეობებში მოასპარეზეთა შემადგენლობანი. 300 მეტრზე თარჯრბენი კი საერთოდ ჩაიშალა, ვინაიდან სტარტზე არავინ გამოცხადდა(!).

პირველობის ორგანიზატორებს ვერაფერს ვუსაყვედურებთ. დებულება შესაბამისი მისამართებით დროულად დაიგზავნა, კარგად გაფორმებული აფიშები დიდი ხანია გამოკიდეს ქალაქში, შსაჯებმაც კარგად იმუშავეს, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ორგანიზაციული მხარე. და მაინც, თბილისელი მძლეოსნების ზამთრის პირველმა სტარტებმა ბევრი კარგი შედეგი მოგვცა. განსაკუთრებით აღსანიშნავია 300 მეტრზე რბენაში გამარჯვებული ტ. ბახტაძის (სპორტკლუბი „ელმავალი“) მაჩვენებელი — 35,1 (100 მეტრზე საშუალოდ 12 წამზე უკეთესი დრო). შეჯიბრება 400 მეტრზე რომ გამართულიყო და ბოლო 100 მ ბახტაძეს თუნდაც 13 წამში გაერბინა (რაც მას იოლად შეეძლო), ჩვენ რესპუბლიკის ახალი რეკორდის დაბადების მოწმენი გავხდებოდით.

პერსპექტიულია 15 წლის გოგონა ლ. კორკოტაძე. 300 მეტრი მან ისე კარგად (43,9) ირბინა, რომ, იმედია, წლეულსვე შეასრულებს I თანრიგის ნორმატივს 400 მეტრზე და საშუალო მანძილზე რესპუბლიკის საუკეთესო მორბენლად ჩამოყალიბდება.

სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ სპორტულ სიარულში გამოჩნდა ახალი სახელები. ამ სახეობაში სპორტის ოსტატ ნ. კალანდაძეს, რომელიც ახლა 123-ე საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებლად მუშაობს, ნაყოფიერი შრომა გაუწევია და თავისი აღსაზრდელებისთვის ამ რთული სახეობის ტექნიკა უსწავლებია. და აი, მეთორმეტეკლასელმა ჟ. მგელაძემ, მეცხრეკლასელმა გ. მაკიევმა, მერვეკლასელებმა ა. ნეფარიძემ და ო. გულიაევმა გამოცდილ ოსტატებთან — ა. შჩერბინასა და ი. დელაროსასთან შეჯიბრებაში სცადეს ძალები. მართალია, ნორჩებს სპორტიზო ადვილები არ დაუკავებიათ, მაგრამ ჭაბუკთა I თანრიგის ნორმატივი შეასრულეს და უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი მალე მხარში ამოუდგებიან წამყვან სპორტსმენებს.

ასპარეზობაში სულ ნაჩვენები იქნა I თანრიგის 6 შედეგი. ეს ერთობ მცირეა, მაგრამ წლეულდელი სეზონი ხომ მხოლოდ დაიწყო! ჩვენი სპორტსმენები, ცხადია, საგრძნობლად გამაღლებენ შედეგებს. საამისო სიმპტომები სწორედ ამ შეჯიბრებამ გამოავლინა.

ნ. ᲓᲔᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

Ო. ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

• • •

სურათებზე: ლ. კორკოტაძე შეჯიბრების დროს; ნ. მეტრზე თარჯრბენის მომენტი. მარცხნივ — გამარჯვებული ვ. ლანჩავა.

ფოტო შ. ზარგარიანისა.

შეხვედრა გევრია, მაგრამ...

თბილისის V საერთაშორისო ტურნირს თავისუფალ ჭიდაობაში მონაწილეთა სიმცირეს ვერ ვუსაყვედურებთ. პირიქით, ისინი საკმარისზე მეტია, მაგრამ ხალიჩაზე იშვიათად იხილავთ საინტერესო ჭიდილს. მართალია, ახალგაზრდები უნდა გამოვაწრთოთ და თამამად გამოვიყვანოთ საპასუხისმგებლო ორთაბრძოლებში, მაგრამ არა აქ, ამ ტურნირში, რომელმაც წლების განმავლობაში საყოველთაო აღიარება ჰპოვა და მუდამ გამოირჩეოდა თანაბარი ძალის მეტოქეთა შერკინებით. ასეა თუ ისე, ტურნირი მიღის და ჩვენც მივყვეთ მის მსვლელობას. უმჩატეს წონაში უფრო მეტს მოველოდით ჩვენი თანამემამულე ზ. შეყრილაძისგან, მაგრამ მეორე წერაში ძლიერ ბულგარელ მოჭიდავე ი. ანიზოვთან გამარჯვების შემდეგ, იგი დამარცხდა ირანელ უ. პურასტოლისთან შეხვედრაში.

თანაბარი სიძლიერით ატარებს შეხვედრებს გ. ყვარელაშვილი (ქვემსუბუქი წონა), რომელმაც II და III წრეებში წმინდა გამარჯვებები მოიპოვა და სატურნირო მდგომარეობა განიმტკიცა. ამ წონაში დამამცყოფილებლად გამოდის მეორე ქართველი ფალავანი ს. ჭარსაულიძე, რომელიც ი. ედელასთან (სსრ კავშირი) ფრეს დასჯერდა. ალბათ, ამ ორ მოჭიდავეს შორის გადაწყდება პირველობის ბედი.

შეჯიბრების მეორე დღეს გაგვახარა ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ, 18 წლის ჯ. გოცირიძემ (მძიმე წონა), რომელმაც ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა ა. ბალკოს (სსრ კავშირი) და 1 წუთსა და 11 წამში წააქცია.

ზ. ᲯᲐᲜᲓᲘᲔᲠᲘ.

მოგვყავს დანარჩენი შეხვედრების შედეგები. უმჩატესი წონა. ნ. ალბარიანი — ვ. კარპოვი, ფრე. უ. პურასტოლი (ირანი) — ტ. ალიბეგაშვილი, ქულებით მოიგო ირანელმა. მჩატე. გ. სტოიჩევი (ჩეხოსლოვაკია) — ბ. სუხებატარი (მონღოლეთი), ქულებით გაიმარჯვა ჩეხოსლოვაკიელმა. პ. მალიანი — ნ. კორძაია (ორივენი— სსრ კავშირი), ქულებით გაიმარჯვა პირველმა. პ. ალექსეევი (სსრ კავშირი) — ჩ. დონდინ შარანი (მონღოლეთი), ქულებით გაიმარჯვა ალექსეევმა. ქვემსუბუქი. პ. ბეყშტიანი (ირანი)— ე. მოროზოვი (სსრ კავშირი), ქულებით გაიმარჯვა ირანელმა. ი. ედელა— ნ. ჰანგაი (მონღოლეთი), ქულებით გაიმარჯვა ედელამ. ს. ქარსაულიძე — ე. ერმოლაევი (ორივენი — სსრ კავშირი), ქულებით გაიმარჯვა პირველმა. ზ. ქურხული (სსრ კავშირი) — ე. უნგელი (ჩეხოსლოვაკია), ქულებით გაიმარჯვა ქურხულმა. მსუბუქი. მ. გოგავა — ვ. პოპოვი (ორივენი — სსრ კავშირი), ქულებით გაიმარჯვა გოგავამ. ხ. ბიმბალოვი (ბულგარეთი) — ა. მომენი (ირანი), ფრე. ნ. ხოხაშვილი — ა. იაბლოკოვი (ორივენი — სსრ კავშირი), ქულებით გაიმარჯვა ხოხაშვილმა. ქვესაშუალო. უ. დიმიტრიევი — ი. გეორგიევი (ორივენი — ბულგარეთი), 6 წუთსა და 47 წამში გაიმარჯვა პირველმა. ბ. შუნჰი (მონღოლეთი) — ი. შკოლნი (სსრ კავშირი), ფრე. ი. შახმურადოვი — დ. ქავთარაშვილი (ორივენი — სსრ კავშირი), 6 წუთსა და 14 წამში გაიმარჯვა პირველმა. ხაშუალო. მ. მაიზუპური (ირანი) — რ. პეტროვი (ბულგარეთი), ქულებით გაიმარჯვა პირველმა. ა. ცხოვრებოვი — რ. შაჰვაზიანი (ორივენი — სსრ კავშირი), წმინდად გაიმარჯვა ცხოვრებოვმა. გ. ხოლოში (უნგრეთი) — ზ. გობეჯიშვილი (სსრ კავშირი), ფრე. ქვემძიმე. კ. ლიივა — რ. მოსეშვილი (ორივენი — სსრ კავშირი), 7 წუთსა და 43 წამში გაიმარჯვა ლიივამ. მძიმე. ვ. პოპოვი (სსრ კავშირი) — ი. რუზსკაი (უნგრეთი), ქულებით გაიმარჯვა პოპოვმა. ა. ანუარი (ირანი) — ბ. კუბატი (ჩეხოსლოვაკია), ფრე. ვ. კოსტოვი (ბულგარეთი) — გ. ტაბუევი (სსრ კავშირი), ქულებით გაიმარჯვა პირველმა.

სპარტაკიადა, სპორტსმენი და შეჯიბრება

ქალები. რბენა 60 მ — ვ. ჭუთათელაძე (სპორტკლუბი „ელმავალი“) — 7,9; 100 მ — ვ. ჭუთათელაძე — 12,7; 300 მ — ლ. კორკოტაძე („განთიადი“, პირადი)—43,9; 50 მ თარჯრბენი — ვ. თეთრაძე (სპორტკლუბი „განთიადი“) — 8,3; სიგრძეზე ხტომა — ვ. თეთრაძე — 502; სამაღლეზე ხტომა — დ. ტროფიმენკო (უნივერსიტეტი) — 140, ბირთვის კვრა — ლ. ტუღუში („დინამო“ — 6) — 12,72; ბადროს ტყორცნა — ლ. ტუღუში — 45,83;

ვაჟები. რბენა 60 მ — ა. ანტონოვი (სპორტკლუბი „ელმავალი“) — 7,0; 100 მ — ა. ბედუკაძე („დინამო“, პირადი) — 10.9; 300 მ — ტ. ბახტაძე (სპორტკლუბი „ელმავალი“) — 35,1; 600 მ — ტ. ბახტაძე — 1.23.9; 1000 მ—ს. ავეტისიანი (ასკ)—2.39.8; 1500 მ წინააღობებით — ნ. ომნაძე (პირადი) — 4.31,3; 55 მ თარჯრბენი— ვ. ლანჩავა („დინამო“ — 6) — 8,1; 5 კმ სპორტული სიარული — ი. დელაროსა (სპორტკლუბი „განთიადი“) — 24.57,1; სიგრძეზე ხტომა — რ. ჩუბინიძე (ასკ) — 698; სიმაღლეზე ხტომა — თ. მდივანი (უნივერსიტეტი) — 2 მ; სამხტომი — ვ. ოჭანესიანი (მანქანათმშენებელი ტექნიკუმი) — 14,09; ჭოკით ხტომა — ლ. გუგუშაშვილი („დინამო“ — 6) — 410; შუბის ტყორცნა — ვ. სკორიკი (ასკ)—53 მ; ბადროს ტყორცნა — ვ. ტარანი (მანქანათმშენებელი ტექნიკუმი) — 41.91; ბირთვის კვრა — ა. ჯიბლიანი („დინამო“ — 6) — 12,05; უროს ტყორცნა — ა. ბაგაური (სპი) — 52.73.

გუნდურ ჩათვლაში II ჯგუფში გაიმარჯვა მანქანათმშენებელმა ტექნიკუმმა, ხოლო მესამეში — „ელმავალმა“.

15 ქვეყნის ფიგურისტები ბრატისლავის სარბიელზე

ბრატისლავა, 1 თებერვალი. ვაჟთა 3 სავალდებულო ვარჯიშით დღეს აქ დაიწყო ევროპის 57-ე ჩემპიონატი ციგურებით ფიგურულ სრიალში.

უძლიერესთა საპატიო წოდებას ერთმანეთს ეცილება 15 ქვეყნის — ავსტრიის, ინგლისის, უნგრეთის, გდრ-ის, ჰოლანდიის, იტალიის, პოლონეთის, სსრ კავშირის, ფინეთის, საფრანგეთის, გფრ-ის, შვეიცარიის, იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის 100-ზე მეტი სპორტსმენი. 5 დღის მანძილზე ისპარეზებენ ქალებისა და ვაჟების ერთეულთა და წყვილთა სრიალში და ცეკვებში, ხოლო 6 თებერვალს გაიმართება საუკეთესოთა საჩვენებელი გამოსვლები.

მონაწილეთა შორის არიან მოსკოვის შარშანდელ ევროპის ჩემპიონატში გამარჯვებულნი — საბჭოთა სპორტსმენები ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი, ავსტრიელები რ. ჰაიტცერი და ე. დანცერი. ესაა, რომ აქ არ გამოვლენ ჩემპიონები ყინულზე ცეკვებში — ვ. და პ. რომანოვები (ჩეხოსლოვაკია), რომლებიც სამოყვარულო სპორტს გამოეშვიდობნენ.

გარდა ლენინგრადის „ჭროს წყვილისა“, სსრ კავშირის ღირსებას ჩემპიონატში დაიცავენ მოსკოველები — შოფლიორსა და ევროპის პირველობათა ბრინჯაოს პრიზიორები ტ. ჟუკი და ა. გორელიკი, ავრეთვე ტ. ტარასოვა და გ. პროსკურინი. ეს სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ წყვილთა სრიალში. ერთეულთა ტურნირში გამოვლენ ვ. მეშკოვი, ს. ჩეტვერუხინი და 15 წლის ლ. შჩეგლოვა, ხოლო ლ. პახომოვა და ვ. რიჟკინი — ცეკვებში.

ევროპის უძლიერეს ფიგურისტთა შეჯიბრება გაეცანით „ევროსპორტი“ და „ინტერსპორტის“ სატელევიზიო სისტემებით.

შეჯიბრებათა შედეგები მაქსიმალური სიჩქარით იანგარიშება საბჭოთა გამოშთველელი მანქანით „მინსკი-2“.

პარიზი. მოფარიკავეთა საერთაშორისო შეჯიბრებაში მარტინის თასზე რაპიერისტთა ტურნირი მოიგო უნგრელმა ზ. საბომ, რომელმაც ფინალში დაამარცხა იტალიელი ნ. გრეწური — 10:9.

ვენა. გაიმართა ფიგურათა ჩემპიონატი თხლეშურებით რბენაში. 30 კილომეტრის ფინიშთან ყველაზე ადრე მივიდა ჯ. ლაურილა — 1.50.20. II იყო ა. ტიანენი — 1.52.52. III — ვ. ჰუკტალა — 1.53.10. სამივე ბაირვე ბაირტსმენი შეიდა ჭეყნის ნაკრებში, რომელიც ოლიმპიკოლენში მსოფლიოს პირველობაში მიიღებს მონაწილეობას.

ჯ. სტაინი: „იტალიის ნაკრებისა ნუ გეშინიათ“

„ინტერვიუ“

ბრიტანეთის „დინამოსთან“ მატჩის შემდეგ ჩვენი კორესპონდენტი **ა. რონდელი** ესაუბრა „სელტიკის“ მწვრთნელს ჯ. სტაინს საერთაშორისო ფეხბურთის ზოგიერთ საკითხზე. ქვემოთ გაქვეყნებთ ამ საუბარს:

● ბ-ნო სტაინ, თქვენი გუნდი ამჟამად ლიდერობს ჩემპიონატს. შეძლებთ თუ არა I ადგილის მოპოვებას?

— ყველაფერს საიმისოდ ვაკეთებთ, რათა მოვიპოვოთ ჩემპიონობა, მაგრამ, მოგეხსენებათ, ეს ადვილი როდია. შოტლანდიაში საკმაოდაა ძლიერი გუნდები და, რაც მთავარია, ხშირია სიურპრიზებიც. ჩემპიონატის დასკვნით ეტაპში სუსტი გუნდები არ არსებობენ— ყველა ერთნაირად იბრძვის.

● კმაყოფილი თუ ხართ ჩემპიონატში „სელტიკის“ გამოსვლებით?

— კმაყოფილი ვარ, ტრაბახში არ ჩამომართვათ და სპეციალისტთა უმრავლესობას „სელტიკი“ ამჟამად ქვეყნის უძლიერეს კლუბად მიაჩნია. მეც ამ აზრისა ვარ. „სელტიკს“ ერთი წელია ვწვრთნი, მაგრამ საერთო ენა ფეხბურთელებთან უკვე გამოვნახე. ზოგიერთი მათგანი ძალიან მიყვარს — მერდოკი, რომელიც მოკლე ხანში შოტლანდიის ერთ-ერთ საუკეთესო ნახევარმცველად იქცა, მაკნეილი, ცენტრალური მცველი, რომელიც ყოველთვის ამართლებს იმედებს, გარმარბები ჯონსტონი და ჰიუზი, სხვადასხვაგვარი სტილის ფეხბურთელები, მაგრამ ერთნაირად აგრესიული და შედეგიანი. სხვა ფორვარდებიც — გალახერი, მაკბრაიდი და ჩალმერსი იშვიათად ტოვებენ მინდორს მეტოქის კარის აუღებლად.

● თასების მფლობელთა თასის გათამაშების დანარჩენ მეოთხედფინალისტებს, ალბათ, კარგად იცნობთ, ხომ ვერ დაგვიხასიათებთ თვითეულ მათგანს?

— გდრ-ის „მაგდებურგზე“ წარმოდგენა არა მაქვს ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ წელს სუსტად თამაშობს ქვეყნის ჩემპიონატში. უნგრეთის „ჰონვედი“ კარგი გუნდია. საერთოდ, უნგრული ფეხბურთი ძალიან მომწონს. „ლივერპული“, ალბათ, დაამარცხებს „ჰონვედს“ და ნახევარფინალში გავა. „ლივერპული“ ამჟამად ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია — ფიზიკურად ძლიერი, ტექნიკური და უაღრესად მებრძოლი. „ლივერპულის“ შემადგენლობაში თამაშობს ორი საუკეთესო შოტლანდიელი ფეხბურთელი — ცენტრალური მცველი რონ იეტსი და ნახევარმცველი ბილ სტივენსონი. რაც შეეხება მადრიდის „ატლეტიკოს“, ახალს ვერაფერს გეტყვით. კარგი გუნდია, ძლიერია ყველა რგოლში. ესპანელები შემტევ ფეხბურთს თამაშობენ და ამ ფრონტის კარგი ოსტატები არიან.

● ვინაიდან საუბარი ევროპულ ფეხბურთზე ჩამოვარდა, თქვენ კი მას კარგად იცნობთ, ხომ ვერ გაგვიხარებდით აზრს ცალკეული ქვეყნების ფეხბურთის შესახებ?

— სიამოვნებით. მომწონს ესპანელთა თამაში. სწრაფი, ათლეტური და, ამავე დროს, უაღრესად ტექნიკური. წინათ ვწვრთნიდი „ჰართ მიდლოთენს“, „დანფერმლაინ ატლეტიკს“, სხვა კლუბებსაც. ჩემი გუნდები ხშირად ხვდებოდნენ ესპანელებს. მათს მინდორზე თამაში ძნელია, მოგება — თითქმის შეუძლებელი. მაგრამ ესპანელთა დიდი მინუსია ზომაზე დიდი ტემპერამენტი და თავშეუკავებლობა — ეს ეხება როგორც ფეხბურთელებს, ისე მაყურებელსაც.

უნგრელებზე უკვე გითხარით. ჩემი აზრით, მათი თამაშის სტილი ყველაზე უფრო დახვეწილია, თუმცა ბოლო დროს უნგრეთის ფეხბურთი შესუსტდა. წამყვანი დასაღეთგერმანული კლუბებიც ძლიერნი არიან. გერმანელებთან თამაში მუდამ ძნელია: ყოველი მატჩი მაქსიმალური დაძაბვით უნდა ჩაატარო — არც ერთ შეცდომას არ გაპატიებენ.

იტალიურ ფეხბურთს ყველაზე უკეთ ვიცნობ. ალბათ, იცით, რომ შარშან გუნდი შოტლანდიის ნაკრებს და სწორედ იტალიელები იყვნენ ჩვენი მთავარი მეტოქეები ქვეჯგუფში.

● მაპატიეთ, რომ გაწყვეტინებთ, მაგრამ იტალიელები ახლა ჩვენს მთავარ მეტოქეებად იქცნენ — ისინი ხომ IV ჯგუფში სსრ კავშირის ნაკრებთან ერთად მოხვდნენ. ჩვენს მკითხველებს განსაკუთრებით აინტერესებთ თქვენი აზრი იტალიის ნაკრებზე.

— იტალიის ნაკრებს კარგად ვიცნობ და უნდა გითხრათ, რომ საბჭოთა გუნდს მისი არ უნდა ეშინოდეს. მე პირადად არ მომწონს იტალიელთა თამაშის სტილი და ტაქტიკა. ბრაზილიურ სისტემას ბოროტად იყენებენ. მოსაბეზრებელია მათი დაცვითი ფეხბურთის ყურება. მაგრამ მაინც, რაც, მართალია, მართალია: იტალიელები დაცვის შესანიშნავი ოსტატები არიან. ალბათ მსოფლიოს ვერც ერთი გუნდი ვერ დაიტრაბახებს ისეთი მცველებით, როგორიც ფაკეტი, ბურგნიჩი, როზატო და სალვადორე არიან. მათ ყველა მწვრთნელი ინატრებდა. თუმცა იტალიელები თვლიან, რომ მათი გუნდი შემტევ ფეხბურთს თამაშობს, მე ასე არ მიმაჩნია. ნახევარმცველები ლოდეტი და ბულგარელი ექსტრა-კლასის ფეხბურთელები არიან. რაც შეეხება ფორვარდებს, აქ მდგომარეობა უარესია. რივერას და მაცოლას ბადალი არ ეყოლებოდათ, ფიზიკურად უფრო ძლიერნი რომ ყოფილიყვნენ. მარჯვენა გარემარბი მორა საკმაოდ საშიშია, მაგრამ მას ფეხი მოუტეხია და ინგლისში ვეღარ წავა. მარცხენა გარემარბი პასკუტი არ მომწონა. ვფიქრობ, რომ ფაბრი მის ადგილზე ისევ კორსოს დააყენებს.

● რით ხსნით თქვენი გუნდის მარცხს ნეაპოლში?

— მხოლოდ ერთით — შოტლანდიის ნაკრების 6 წამყვანი ფეხბურთელის დაშავებით. ჩვენს რიგებში რომ ყოფილიყვნენ ლოუ, ბაქსტერი, ჰენდერსონი, ბრაუნი, სტივენსონი და მაკნეილი, იტალიელებს ვერც ნეაპოლელი გულშემატკივრები უშველიდნენ. ისე არ გამიგოთ, თითქოს იტალიის ნაკრები სუსტ გუნდად მიმაჩნია, მაგრამ საბჭოთა ნაკრებისთვის იგი საშიში არ უნდა იყოს.

● თუ გინახავთ ჩვენი ნაკრების თამაში?

— საბჭოთა ფეხბურთის თითქმის არ ვიცნობ, მხოლოდ ახლა ვიწყებ მის შესწავლას. ტელევიზიით ვნახე მატჩი უელსი — სსრ კავშირი, მაგრამ ამ შეხვედრით საბჭოთა ნაკრების შესაძლებლობების განსაზღვრა სწორი არ იქნებოდა. შთაბეჭდილება დამრჩა, რომ თქვენი ფეხბურთელები ზედმეტად პასიურობდნენ. დარწმუნებული ვარ, ლონდონში თქვენი გუნდი უძლიერესთა შორის იქნება.

● რას ფიქრობთ ჩილის ნაკრებზე?

— ინგლისში ჩილიელები ვერაფერს მიაღწევენ. IV ჯგუფში სსრ კავშირი და იტალია გაიმარჯვებენ.

● ვინ მოგაჩხათ მსოფლიოს პირველობის ფინალისტებად?

— ერთი ფინალისტი უეჭველად ბრაზილია იქნება, ხოლო მეორე ფინალისტობის პრეტენდენტი ბევრია. უმჯობესია ასე ვთქვათ: ვისაც ბედი გაუღიმებს, ის იქნება.

● მიგაჩნიათ, რომ ინგლისს შანსები არა აქვს?

— იმდენივე, რამდენიც დანარჩენებს. ინგლისი შედარებით სუსტ ჯგუფში მოხვდა და მხოლოდ ეს ხრდის მის შანსებს. არ დაივიწყოთ, რომ ინგლისის ნაკრებს ბედი არ წყალობს. გამორიცხული არ არის, რომ ფინალში გავა, მაგრამ პირადად მე ამისი ნაკლებად მჯერა.

● ჯგუფებში გამარჯვებულებს ხომ ვერ დაასახელებთ?

— პროგნოზები ყოველთვის როდი მართლდება, მით უმეტეს, როცა ბევრი თანაბარი ძალის გუნდია. აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემთხვევითობას — ერთი შეცდომა და გუნდი ყველაფერს კარგავს. ვფიქრობ, რომ I ჯგუფში გაიმარჯვებენ ინგლისი და საფრანგეთი. მეორეში ძნელია ფავორიტების გამოყოფა. თუმცა, პირველი ფავორიტია ესპანეთი. გფრ-ს და არგენტინას თანაბარი შანსები აქვთ. III ჯგუფში გაიმარჯვებენ ბრაზილია და უნგრეთი, ხოლო IV ჯგუფში, როგორც უკვე გითხარით, სსრ კავშირი და იტალია. ალბათ, გაგიკვირდათ, რომ არ ვახსენე პორტუგალია. შარშან ეს იყო საუკეთესო ნაკრები, მაგრამ ამჟამად, როგორც პრესიდან ვიცი, ამ გუნდის წამყვანი ფეხბურთელები, ეუსებიოს გარდა, სუსტად თამაშობენ. რომ შემეკითხოთ, რატომ ვარ ასე დარწმუნებული ბრაზილიელთა ძლიერებაში, გიპასუხებთ: ვიცი, რომ ბრაზილიელთა დაცვა მოიკოჭლებს. ვიცი, რომ ახლანდელი ბრაზილიური ნაკრები უწინდელი არ არის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ბრაზილიელები ჩვეულებისამებრ კარგად მოემზადებიან და ისე ჩამოვლენ ინგლისში. სწორედ ამაშია მათი ძლიერების უმთავრესი „საიდუმლოება“.

● რომელ ევროპულ კლუბებს ჩარიცხავდით ხუთი უძლიერესის სიაში?

— „ინტერნაციონალეს“, „ლივერპულს“, „ბენფიკას“, მადრიდის „ატლეტიკოს“ და უწინდელის აჩრდილს, მაგრამ მაინც კარგ გუნდს — მადრიდის „რეალს“. ხედავთ, „ლივერპული“ ვამჯობინე ინგლისის ჩემპიონს — „მანჩესტერ იუნაიტედს“. „ლივერპულის“ ფეხბურთელები ფიზიკურად უფრო გამძლენიც არიან და უფრო მებრძოლნიც.

● ბ-ნო სტაინ, ამდენი რომ გკითხეთ, ამდენი ვისაუბრეთ, მთავარი კი გამოგვრჩა. რომელი ტაქტიკის მომხრე ხართ?

— თქვენ ეს კითხვა ბოლოსთვის ალბათ იმიტომ შემოინახეთ, რომ მრავალსიტყვიან წყევლა-კრულვას ელით ათასნაირი „ბეტონის“ და „სუპერ-ბეტონის“ მისამართით. მაგრამ ჩემი პასუხი მოკლე იქნება. ერთადერთი ტაქტიკის მომხრე ვარ — გოლების გატანისა. ფეხბურთს იმიტომ თამაშობენ, რომ გოლი გაიტანონ, მაყურებელიც მხოლოდ ამისთვის დადის ფეხბურთზე. ყველა მწვრთნელი როდი იზიარებს ამ აზრს, მაგრამ მაყურებელი აიძულებს მათ ეს ჭეშმარიტება გაიხსენონ.

ბ. ბრაზილია

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ (1958 და 1962 წწ.).

მსოფლიოს პირველ ორ ჩემპიონატში ბრაზილიელები ერთობ უფერულად გამოვიდნენ. 1930 წელს მონტევიდეოში მათ მოუგეს ბოლივიას (4:0), მაგრამ წააგეს იუგოსლავიასთან (1:2) და ნახევარფინალშიც ვერ მოხვდნენ. 1934 წელს ისინი უბრძოლველად გავიდნენ დასკვნით შეჯიბრებაში, ვინაიდან ქვეჯგუფში პერუს გუნდმა თამაშზე უარი განაცხადა. ბრაზილიელები მერვედფინალშივე დამარცხდნენ ესპანეთთან (1:3). ბრაზილიამ III ჩემპიონატის ფინალში ხვდია პოლონელებს (6:5), ჩეხოსლოვაკიელებს (1:1, 2:1), მაგრამ ნახევარფინალში დამარცხდა მსოფლიოს ჩემპიონებთან — იტალიელებთან (1:2).

ბრაზილია თვით იყო IV მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორი. მაშინ ყველა მოელოდა, რომ მასპინძლებს I ადგილი დარჩებოდათ. ბრაზილიელებმა სძლიეს მექსიკას (4:0), იუგოსლავიას (2:0), ფრედ (2:2) ითამაშეს შვეიცარიასთან და გავიდნენ ოთხ უძლიერეს გუნდს შორის, სადაც შეჯიბრება წრიული სისტემით გაგრძელდა. 2 ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ (შვეიცარიასთან — 7:1, ესპანეთთან — 6:1) ბრაზილიელები გადამწყვეტ მატჩში შეხვდნენ ურუგვაელებს და მათ ფრეც კი ყოფნიდათ ჩემპიონობის მოსაპოვებლად, მაგრამ მარცხი განიცადეს — 1:2.

შვეიცარიაში ბრაზილიელები ჩავიდნენ ჩილისა (2:0, 1:0) და პარაგვაის (4:1, 1:0) დამარცხების შემდეგ. აქ ისინი კვლავ იბრძოლებოდნენ პირველობის პრეტენდენტებად, მაგრამ კვლავ გაუცრუვდათ იმედები. მექსიკასთან მოგებისა (5:0) და იუგოსლავიასთან ფრეს (1:1) შემდეგ გუნდი გავიდა მეოთხედფინალში, მაგრამ აქ წააგო უნგრეთის „დიდ გუნდთან“ — 2:4.

სამაგიეროდ, ბრაზილიელებმა სრული ტრიუმფი იზეიმეს VI და VII ჩემპიონატებში. შვეციისკენ მიმავალ გზაზე მათ დაძლიეს პერუელთა დიდი წინააღმდეგობა (1:1, 2:1), ფინალში მოუგეს ავსტრიას (3:0), ფრედ ითამაშეს ინგლისელებთან (0:0), დაამარცხეს სსრ კავშირს (2:0), უელსის (1:0), საფრანგეთისა (5:2) და შვეციის (5:2) გუნდები და მოიპოვეს ყიულ რიმეს თასი.

ჩილეში ბრაზილიელებმა შეინარჩუნეს მსოფლიო ჩემპიონობა. აქ მათ მოუგეს მექსიკას (2:0), ფრედ ითამაშეს ჩეხოსლოვაკიელებთან (0:0), დაამარცხეს ესპანეთი (2:1), ინგლისი (3:1), ჩილი (4:2) და ფინალში — ჩეხოსლოვაკია (3:1).

1965 წელს გუნდმა ჩაატარა შემდეგი მატჩები: ბელგიასთან რიო-დე-ჟანეიროში 5:0, გფრ-ის გუნდთან რიო-დე-ჟანეიროში 2:0, არგენტინასთან რიო-დე-ჟანეიროში 0:0, ალჟირთან ქ. ალჟირში 3:0, პორტუგალიასთან ლისაბონში 0:0, შვეციასთან სტოკჰოლმში 2:1, სსრ კავშირთან მოსკოვში 3:0, ურუგვაისთან ბელუ-ორიზონტეში 3:0 და სსრ კავშირთან რიო-დე-ჟანეიროში 2:2. გოლები გაიტანეს: პელემ — 9, ფლავიომ და უერსონმა — 3-3, ადემირმა და დუდუმ — 2-2, რინალდომ და ტუპანზინიომ—თითო.

გუნდის შემადგენლობაში შარშან თამაშობდნენ: მეკარეები — მანგა, ვალდირი; მცველები — ჯ. სანტოსი, ბელინი, ორლანდო, დიასი, ვალდემარი, ფერარი; ნახევარმცველები — დუდუ, უერსონი, ადემარ დე გუია; თავდასხმელები — ჟაირზინიო, ფლავიო, პელე, პარანა, გარინჩა, რინალდო, ჩელიო, ბიანჩინი, ტუპანზინიო და ჟულინიო.

ამჟამად ბრაზილიის ნაკრების ხელმძღვანელობა აპირებს იტალიიდან მიიწვიოს ცნობილი ოსტატები ჟაირი (.,ინტერნაციონალე“) და ამარილდო („მილანი“).

უკანასკნელი ცნობებით, ბრაზილიის ნაკრების ხელმძღვანელმა ვ. ფეოლამ საწვრთნელ შეკრებაზე თავი მოუყარა 40 მოთამაშეს. შეკრება მარტის ბოლომდე გაგრძელდება. მიღწეულია პრინციპული შეთანხმება ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ავსტრიისა და პარაგვაის გუნდებთან რიო-დე-ჟანეიროში შეხვედრათა თაობაზე. ამ მატჩების თარიღები ზუსტდება ახლა. მსოფლიო ჩემპიონატის წინა დღეებში ბრაზილიელები გამართავენ ორ დასკვნით „სპარინგ-მატჩს“ გლაზგოში შოტლანდიასთან და კარდიფში — უელსთან.

• • •

მსოფლიოს ორგანოს ჩემპიონი, ბრაზილიის ნაკრები მოსკოვში. 1965 წლის 4 ივლისი. ამ დღეს არნახული ინტერესით მოელოდნენ მილიონობით ფეხბურთის მოყვარულნი და ვინ უშუალოდ მწვანე მინდორზე, ვინ ტელევიზორთ, ასე ვთქვათ, მოქმედებაში ნახა ეს შესანიშნავი გუნდი და მისი ბრწყინვალე ოსტატები.

სურათზე: მომენტი 4 ივლისის მატჩიდან. შეტევაზე არიან ბრაზილიელები. ზურგით — მათი ცენტრალური თავდამსხმელი ფლავიო (№ 9).

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ფეხბურთი

სუარესს თანამედროვე ცვლის

ᲛᲘᲚᲐᲜᲘᲡ „ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲡ“ მწვრთნელმა ე. ერერამ სეზონის დასაწყისში განაცხადა, რომ მისი ფეხბურთელები წლეულს სამ პრიზს მოიპოვებენ და სამივეს ზედიზედ — მესამედ იტალიის ჩემპიონობას, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასს და საკონტინენტთაშორისო თასს. ჯერჯერობით მისი დანაპირები სრულდება. „ინტერი“ ჩემპიონთა თასის ნახევარფინალშია და იტალიის პირველობასაც ლიდერობს.

კვირას „ინტერნაციონალემ“ მიაღო არც თუ ისე ძლიერი გუნდი — „ლანეროსი“. პირველი ტაიმი მოიგეს სტუმრებმა — 2:1. შესვენების შემდეგ მასპინძელთა შტურმი არ შენელებულა, მაგრამ მეტოქის „ბეტონის“ გარღვევა არც თუ ისე იოლი აღმოჩნდა. „ინტერის“ რიგებს აკლდა მთავარი „დირიჟორი“ — ესპანელი ლ. სუარესი, რომლის ფენჭცეები აგრეთვე ესპანელს, ხ. პეიროს დაეკისრა. სწორედ პეირომ გაათანაბრა ანგარიში და შემდეგ კიდევ 1 გოლიც გაიტანა— 3:2. ამის შემდეგ „ინტერი“ დაცვაზე გადავიდა და შეძლო ანგარიშის შენარჩუნება.

„მილანი“ თამაშობდა ფოჯაში. მის რიგებში იყვნენ ისეთი ვარსკვლავები, როგორც ანჯელილო, რივერა, ამარილდო, მალდინი, სორმანი და შნელინგერი, მაგრამ გუნდი ძლივს გადაურჩა ადგილობრივ „ფოჯას“ — 0:0.

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „კატანია“ — „ნაპოლი“ 0:0, „იუვენტუსი“ — „ატალანტა“ 1:1, „ლაციო“ — „ტორინო“ 1:0, „ბოლონია“—„ვარეზე“ 3:1, „ბრეშია“ — „ფიორენტინა“ 1:2, „სამპდორია“ — „კალიარი“ 1:1, „სპალი“ — „რომა“ 2:1.

ლიდერთა ექვსეული ასე გამოიყურება:

	თ.	ბ.	ქ.
„ინტერნაციონალე“	**19**	**36:14**	**29**
„ნაპოლი“	**19**	**29:16**	**26**
„მილანი“	**18**	**27:15**	**25**
„ბოლონია“	**19**	**34:24**	**24**
„იუვენტუსი“	**19**	**17:11**	**23**
„ფიორენტინა“	**19**	**22:14**	**23**

(საკ. ინფ.).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66118 ბაქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05833